

კლასების ინსპექტორს, იმავე სამ-
დღითო სკოლის მასწავლებელს—500 მ.
სანგებოთს ათს მასწავლებლებს 179 გა-
კეთილი—10,740 მან., თითო გა-
კეთილი—60 მან., გალობის მას-
წავლებლებს—630 მან. 18 გაკეთილი-
ში, უფროსი აღმზრდელს ქალს—400
მან., 7 აღმზრდელს ქალს თითოს—
300 მან., 4 თანამშრომელს—თითოს 200
მან., გიგინის მასწავლებელს—140
მან., წერისას—150 მან., ხატვა-ხაზ-
ვისას—210 მან., ხელსაქმისას—240
მან., ეკონომს—450 მან., ექიმს—
250 მან., საავადმყოფოს ზედამხე-
დელს ქალს—200 მან., საქმის მწარ-
მოებელს—240 მან., მედავითნეს—
150 მან., კანცელარიის ხარჯად—
100 მან. და სხვა. მასწავლებლებს,
რომელთაც უნდა დაეხმოს სწავლა აქტი
მიღებული მერვე კლასის მოხელე-
ებზე ჩაითვლებიან, ხოლო ისინი,
რომელთაც საშუალო სასწავლებელ-
თა აქტი ვადავებულია—მეთუ კლას-
ის მოხელეებია.

კასიის სამოწავლო ოლქის მზრუნ-
ველი ნ. თ. რულოვსკი, თავმჯდო-
მარის ახანაგებდა—ა. ი. ხატისოვი
და ქ. ვ. ხარჩიკოვი და საქმის მწარ-
მოებელნი: ბ. პ. კახანცევი, ა. ა.
მუხარინსკი და ვ. მ. სისიკი.

◆ **ნაძალადეველია შუამდგომ-
ლობა.** როგორც მკითხველთა იცინ,
ნაძალადეველთ 1912 წლის პირველ
ინფორმაციულ უნდა გამოეცხადათ იჯა-
რით აღებული საქალაქო მიწები,
მაგრამ ბევრმა მათგანმა გამოსიდა
ვერ მოასწავა. ამის გამო ნაძალადე-
ველთა რწმუნებულმა ა. ს. ლულაძემ
ქალაქის გამგებბას სთხოვა, დაეკა-
დღის ნაძალადეველთ დაჩინებულ გა-
დასახდების შეტანა და მიწების გა-
მოსიდა 1913 წლის პირველ ინფ-
ორმაციულ.

◆ „მედროვეთა“ კრება 16 თებერვალს
მოხდებდა მამასახლისის ასარჩევად.

◆ 8 თებერვალს ტფილისში 29 უკან-
პირტო შეიპყრეს.

კანტორისაგან
პრემია „გრემლი“ პრაივისის წლიურ ხელის მომწერლებმა
უნდა მოიკითხონ:

ქუთაისში—წიგნის მალაზია „იმერეთი“—
გორში—საერთოერთო ნდობის ბანკში, ი. ხუციშვილთან.
ბათუმში—ქალაქის საავადმყოფოში, ირ. ავალიშვილთან.
სამგრილაში—ქ. შ. წ. კ. სახ. განყოფილების კოსტის, კალაძესთან.
თელავში—ქ. შ. წ. კ. სახ. განყოფილებაში, ივ. პაატაშვილთან.
სოხუმში—ნიკო ჯანაშიასთან.
ჭიათურაში—საერთო. ნდ. ბანკში სოფრონ ტარუაშვილთან.
დანარჩენი წლიური ხელის მომწერნი რომელთაც 30 კ. არ წარმოადგე-
ნიათ „გრემლი“ უნდა მოიკითხონ გაზეთის კანტორაში, ტფილისში.
რომელთაც წარმოადგენიათ 30 კ. ისინი მიიღებენ პრემიას ფოსტით.
წლიური ხელის მომწერლად ითვლება ის, ვისაც ხელისმწერისთანავე
წარმოდებული აქვს არა ნაკლებ 3 მ. და დანარჩენი ხელის მოწერის და-
სისც გადახდილი იქნება იმ ვადებზე როგორც გამოცხადებული გვექნება.
ხელის მომწერნი რომელთაც ჩვენ გაზეთზე ხელი მოაწერეს წიგნის
მალაზია „იმერეთი“—საშუალებით პრემია „გრემლი“ მიიღე-
ბენ ცალკე დაგვიანებით. „სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ქ ა რ ს ი
◆ 4 თებერვალს სახალხო მატარ-
ებელით ანერჯისკენ გაემგზავრა
ერთი წყება (90 სული) მალაქენისა.
ამ თვის 16 მეორე წყებაც აპირებ.
გამგზავრებას.

ა შ თ ა ი ს ი.
◆ ქალ. გრემობლში (შევიცარია)
ენფანის საბუნებისმეტყველო ნაწი-
ლის სტუდენტს კონსტანტინე კიკა-
ჩიშვილს უკანასკნელი ვგზამენ
ჩაუბარებია. დილაშ მიიღებს, რო-
ცა ტეზას ჩააბარებს, რომელიც უკვე
მზადა აქვს, მოლოდ 150 ცალი უნ-
და დამტკიცდეს წარადგინოს წესისა-
მებრ. ვგზამენი საუბრით სრულდა ჩაუბარ-
ებია და პრაქტიკულად მიულო-
ცნიათ. წინაზე ამავე კატივიშვილს
ენფანია ექვსი ვგზამენი ჩაუბარე-
ბა და ქების ფურცელიც მიულო-
ცნიათ.

◆ პეტერბურგიდან დებუტატი
ჩხვიციანი დებუთით ითუება კავკასიის
უნივერსიტეტის თანამდებარე მინისტრ-
მა განაცხადა, რომ პასუხს მინისტრ-
თა საბჭო მოეცემით.

◆ 6 თებერვალს ქალაქის სა-
ბჭომ დაადგინა: ალარ განაგრძონ ავარ-
აკში მუხის ტყის ნაკვალად ლო-
ბოს ხის (აკაცია) გაშენება. ამას-
თანვე გამოიტყვა სურვილი, რომ
ქალაქმა, ქიმიურად გამოკვლეოს
საღორის აგარაკის ნიადაგი და სა-
ცდელად რამდენამდე დესტრინაზე
გაამეროს სხვა და სხვა ცენარეულ-
ობა. დაადგინეს ქალაქის ბაღში
აშენდეს ერთი პავილიონი ხილე-
ულის წყლის გასაყიდათ და ფარ-
ლეული—მუხისკითხით.

◆ საქარის საინერგო გამგე-
სოხეს საბჭოს, მოახდინოს განკარგუ-
ლება, რათა ქიმიურის შავი ქვის სა-
რეცხავ ქარხნების პატრონებმა: პა-
ნარუმი (დარკვეთი) და ბრეგვაძემ
გამოგზავნონ ორმოცდა ათ-ათი ფუ-
თი ნალექი, რომ ქიმიურად გამოი-
კვლიონ სადგ. ყვირილის ში თებერ-
ვლის დამლევს. ამას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს. მდ. ყვირილის წყლის
გაწმენისათვის.

◆ ქუთაისის სახაზინო პალატა
ამ დღეში დაამთავრებს გადასახა-
დის ფურცლების დამზადებას.

◆ აბრეშუმის თესლი. მოახლო-
ვდა გაზაფხული და განზდა სხვა და
სხვა ფირმის აბრეშუმის თესლი ქუ-
თაისის ბაზარზე. მცხოვრებლებს ძა-
ლიან სიფრთხილე შპართებით თესლის
შექნაში.

◆ როგორც ხშირად გვწერენ,
საჯერო განაზიბის შეგარდები ეპარე-
ბიან დაბა ხონში გამართეს **სალი-
ტერატურო** საღამო 19 თებერვალს.
◆ ქუთაისის გუბერნიის სახალხო
სკოლების დირექტორი ახლო მო-
მავალში წავა სოფლებში სკოლების
სარევიზიოდ.

◆ **ნუცუბიძისა და ხობულა**, რო-
მელთაც სიკვდილი დასჯა ჰქონდათ
მისილი და ნამესტნიკმა სკოლების
სასჯელი უვადო მანდებში მუშა-
ობით შეუცვალა ახლო მომავალში
ქუთაისის ციხიდან გაგზავნიან რუ-
სეთის საკატარლო ციხეში.

◆ 2 თებერვალს. კუხელებმა სა-
ხალხო სკოლების ინსპექტორის ბნ-
ქაროვის დანადარებებით დაადგინეს,
ნაკვალად დამწვარ შენობისა ავგონ
სკოლისათვის **ქვითკრის შენობა**.
სამოსწავლო მთავრობამ ამ საქმეში
მათ დახმარების აღმოჩენა აღუთქვა.

◆ 5 თებერვალს მოხდა კუხის
**შემნახველ გამსესხებელ ახანა-
გაობის წლიური კრება**. დაადგინეს
დიდიხელის 60-ი მიზნარდეს ქურ-
ნალ-გაზეთების გამოწერას.

◆ ციხიდან გაპარვის განზრახვა.
როგორც ვამოვებდეს, ტულა-
კატარების ადვოკატის ქუთაისის
საგუბერნიო ციხეში გაუქრითათ
კრინის ვანჯარა და გაპარვა მოუწ-
დებინათ. ციხის აღმინისტრაციას
დროზე გაუგია ტულალების განზრახ-
ვა და ყველა შეუჩერებია.

◆ სახალხო გაზეთის კურსების მარ-
თველი ქუთაისში ბ. გრ. გიგინი-

◆ **სალამო**. 2 თებერვალს ოსურ-
სტორი ადგილობრივი ქალთა სკოლის
სასარგებლო **გამართლება სალა-
მომ** წმინდა შემოსავლა 250 მანეთი
დასტოვა.

◆ **თავდასხმა**. 4 თებერვალს, სა-
ლამომ 8 საათზე, სადგურ ღანჩხუთისა
და ჯუმათის შუა, სამი შეიარაღე-
ბული ბოროტ გამზრახველი დასცე-
მი რკინის ზეზის დარაჯს და სი-
კვდილის დამუქრებით წაურთმევით
მისთვის 6 მ. ფულად ვერცხლის
ქამარი და ტანთსაცმელი. ბოროტ
გამზრახველნი სოფ. ჯურუყუცეთში
დამალულანი. (ნ. ბ. 4.)

**პაპაპის პართიკალი
საპარლიტო ახანაგობის
პ რ ე ბ ა**

კვირას, 5 თებერვალს ადგილო-
ბრივი ქართველობის სათაერთო
დარბაზში შესდგა წლიური კრება
კავკასის ქართულ საკრედიტო ახან-
აგობისა. კრების თავმჯდომარედ
ერთხმად არჩეულ იქნა გ. მღვდლო-
ვი და მივიწვია თ. პ. სარაჯიშვილი.

სხდომის დაწყებისას წაითხულ
იქნა მოხსენება ახანაგობის 1911
წლის მოქმედების.

მოხსენებელმა სხვათა შორის გა-
მოიკყა, რომ ახანაგობას მოქმედე-
ბა დაუწყვია 26 ივლის 1909 წელს;
პულოთა თავდაპირველად 45 წევრი
და ძირითადი თანხა 3046 მანეთი
ქმნიდა. როგორც ეს თანხა, ისე სა-
წევრო გადასახადები მის გასადი-
ვებლად, 10 წლის ვადით აქვს ახან-
აგობას უსარგებლოდ გადაცემული
იმ პირობით, რომ ამ ვადის გასვლის
შემდეგ იგი ქართველთა სკოლის
გადამცემს. მოხსენებელმა სხანს, რომ
ახანაგობის წარმოებას განვილო
წელს ძალიან მოუპატნა.

ახანაგობის ანგარიში განუხილავს
სახელმწიფო ბანკის კავკასის განყო-
ფილების წევრი კრედიტის ინსპე-
ქტორს სტილიანოვს და იგი საუ-
ცხოვრო დანებებ დაყვებულად
უცხვინა, წევრებისა და უახლალ-
ტრის თ. პ. სარაჯიშვილის მეცადი-
ნეობის გამო.

ანგარიშიდანა სხანს, რომ 1911
წლის დამდეგს ახანაგობას 335 წე-
ვრი ჰყოლია და 35,065 მანეთის კრე-
დითი ქმნიდა; 1912 წლის 1 იანვარს
ეს 588 წევრი და 65,430 მანეთის
კრედიტი. ახანაგობაში ფული შეუ-
ტანიათ 83 კაცს, სულ შეტანილი
ყოფილა 36,093 მანეთი და 78 კაპ.

1911 წლის განმავლობაში ახანა-
გობას წმინდა მოგება 1723 მანეთი
და 23 კაპ. დარჩენია. კრებამ ეს ფუ-
ლი ასე განაწილა: 40% სათადარი-
გო თანხისთვის, 20% ძირითადი თან-
ხისთვის და 40% ქართულ სკოლის-
თვის.

ახანაგობის გამგეობის წევრობი-
სათვის თავი დაუწებებიათ: ვ. ბ. ზი-
არკოვის, დ. ს. სიბაძის, ა. ა. ოქრო-
პირიქის და ვ. ს. როინაშვილის. პირ-
ველი ორი ერთხმად იქნა კვლავ
არჩეული, ხოლო უკანასკნელი აღ-
დგენ ი. მ. ჩითაშვილი და პ. მისი-
რაძე. საბჭოს წევრობას თავი დაანე-
ბეს თ-მა ი. მ. ლორთქიფანიძემ და
ტ. ბ. კახიძემ. კრების საერთო თხო-
ვნის გამო ოროვე დასთანხმდა თე-
თავის ადგილზე დარჩენას.

კრება ნაშუადღევს 2 საათზე და-
მთავრდა.

წერილი სსაგეოლიანს
III.

(დასასრული *)
რაც შეეხება სერბიას; როგორც
წინედ მოგახსენეთ, ისიც აღვნიშ-
ნავთ რაზედაც ოსმალების ტერი-
ტორიაზე. თუცა თვით სერბიაში
არ არის დიდი მუხედრობა, მაგრამ
ოსმალების შიშს აგრეველებენ, რომ
მათ დარჩენს რეოლოგიკური კო-
მიტეტი „შვი-ხელი“, რომელიც
იწყებს მოქმედებას კოსოვოს ვილა-
იეთში; თუმცა ეს ცნობა ძალიან
საწმუნო არ არის; მაგრამ ოსმა-
ლების მთავრობას მინც დასჭირდა
სავანებო ზომების მიღება.

თვით პატარა ჩერნოგორიაში, სა-
დაც მხოლოდ 200,000 მცხოვრებია
და სადაც 3 კვითა მეფე ნიკოლოზი—
არეალობდა; მოძრაობაა დინასტიის
წინააღმდეგე. ახალი-მონტენეგო-
ბა—ე. ი. ახალი ჩერნოგორილები—
—მოხრნი არიან რესპუბლიკის;
ამომხენ შეთქმულებაც აღმოაჩინეს
ნიკოლოზის სავანეულად საწინა-
აღმდეგო. (მეფე ნიკოლოზი ახლა-
ნანს გამოგზავრა პეტერბურგისკენ.)
ყოველივე ეს იმით მოვიყვანე,
რომ ოსმალების ზომების მიღება და-

სერიისა და სერბიის საზღვარზე
დიდი უსიამოვნება უხედება ოსმა-
ლების დამცემებს. რაბოქუმიკი;
ჯოჯოხეთის ერთი მუხედრობა აკლდა
და ისიც მიუხედავად იქნა შე-
ოსმალების საქმეც.

მაკედონიაში ყველაზე ძლიერი
მეტერი ოსმალებისთვის— **ბოლგა-
რია**. ბოლგარიის მთავრობის პოლი-
ტიკასათვის: შინ რეაქცია დააცხროს
და გარედ, მაკედონიაში გააძლიეროს
სხვა და სხვა რანგები ოსმალების
საწინააღმდეგე. მის აქვს ბოლგა-
რელ უურნალ-გაზეთების მთელი
ბიურო, რომელიც ეწევა **ნაციონა-
ლისტურ** აგიტაციას და, როგორც
ეტყობა, დიდი გასავალიცა აქვს.
ასეთ პოლიტიკის შედეგი რას-
კვირევილია, შეფის უფლებების გა-
ძლიერება და ჯერ-ჯერობით კარ-
გათაც ეწევა ქაპანს. ბოლგარიიდან
გამოდის სხვა და სხვა რანგები,
რომლებიც იწვევენ არეულობას მა-
კედონიაში, მაგრამ ბოლგარიის მთა-
ვრობა ისე იჭერს თავს ვითომც მა-
პარამის ბიკანთიუსს; მაგრამ, ეს ხომ
ჩვეულებრივი ხრიკებია და მაგონებს
ხუნხუნებს, რომლებმაც ისეთი დიდი
დენსარება გაუწიეს იპაონიას რუ-
სეთთან ბრძოლაში.

მსგავსად სერბიის სარევილიუციო
„შვი-ხელის“ კომიტეტისა—ბოლ-
გარიასაც აქვს მაკედონიაში „წითე-
ლი ძმების“ ორგანიზაცია, რომელ-
მაც დაუგზავნა მანიფესტი ოსმალე-
თის მთავრობას (ერთობის და პრო-
გრესის) კომიტეტის სტამბოლის ათი-
ნის (საბერძნეთის დედა ქალაქი),
სოფიის (ბოლგარიის დედა ქალაქი)
და ბელგრადის (სერბ. დედა ქ.) პრე-
სას, სადაც უთითებდა ბალკანეთის
უმწიფო მდგომარეობაზე, რუსეთის
და ავსტრიის გასხარებულ მოქმე-
დებზე ოსმალების გასანაწილებლად,
მოპყავდა მავალითად ბოსნია-ჰერ-
ცოგოვინის შეერთება ავსტრიის
მეორე ტრიპლის დაცერა იტალიე-
ლთა მიერ და ახლად დაწამილებულ
სპარსეთზე. ამ მავალითების შემდეგ
აფრთხილებდა ოსმალების მთავრო-
ბას და აბოლოებდა შემდეგი დღე-
ბისა: „ბალკანეთი ბალკანეთის გრე-
ბისა“.

ყოველივე ეს ინტერნაციონალუ-
რი მოვლენა, მაგრამ მთავრის ის არის,
რომ ბოლგარიის მეფის შვი ხელი
ურევიცია.

თუმცა ზოგიერთნი ექვის თეა-
ლით უყურებენ მგებარ ორგანი-
ზაციის არსებობას, მაგრამ ყოველი
შემთხვევაში, ძლიერი თუ არ არის,
არსებობს კი უმეკველად.

ოსმალების წინააღმდეგ ბოლგა-
რისათან ერთად საბერძნეთიც ფე-
ხურობს. კუნძულ კიტოს ბერძენე-
ბი დიდ მღვდლებს ში არიან; მავა-
ლითად: ადგილობრივი ბერძენთა
ორგანიზაცია შეკედინგობს, რომ
დებუტატთა არჩევნები მოხდეს სა-
ბერძნეთის დეტურტის მიხედვით და
დებუტატები გაიგზავნოს საბერძნე-
თის პარლამენტში და არა ოსმალე-
თისათვის;

აშასთან ჰსურთ, რომ ადგილობ-
რივი აღმინისტრაცია დაუქვემდებ-
დებოდნ საბერძნეთის სამინისტროს,
რისთვისაც, როგორც ბერძენმა ისე
ოსმალებმა ფიცი უნდა მიიღონ სა-
ბერძნეთის მეფის ერთგულებაზე. ამ
სურვილებს რა რეალური ძალა აქვს
არ ვიცი, ხმაურობით კი ძალიან
ხმაურობენ. ასეთ საერთო მდგომარე-
ობას ერთმა მოვლენამ კიდევ უფ-
როს შეუწყობ ხელი; ეს გახლავთ
სოფიის დენასწავლი.

ბოლგარიის მემკვიდრემ ბორის-
მა მეჯლისი გადხდა მისი სრულ
წლოვანების აღსანიშნავად და უფ-
რო ერთგვარ აგიატივის გასაწევად,
რაცდაც მოწვეული იყვენ მეზობელ
სახელმწიფოთა წარმომადგენელნი
და აგრედებ საბერძნეთის სახელაზნად
მემკვიდრეც. ეს შემთხვევა ახალგა-
რისი განდა ათასგვარ ხმების გასავრცე-
ლებლად. მავალითად, დაიწყეს ლა-
პარაკი: საბერძნეთი—ბოლგარიის და-
ახლოებებაზე ოსმალების წინააღ-
მდეგე, ბალკანეთის კონფედერაცია-
ზე და მემკვიდრე ბორისო უცხო
ქვეყნის—მაკედონიის გამგელ გამო-
ცხვენს. იმავე ხანებში ქ. ვიბრა-
(იონანია) კვლავზე ბერძნულ ენა-
ზე დაწერილი პროკლამაციები გა-
აკრეს, რითაც ხალხს ატყობინებ-
დად ნოინ-ბაზარის სანჯაყს (მაზარის)
ავსტრია იერთებს, ხოლო საბერძნე-
თი ეპარს და ეპინას ვილაიეთსო.
ამის მსგავსი ბევრი ხდება, რითაც
ოსმალების მთავრობას აზინებენ.

